ქართველი მარეგულირებელი „ესტაფეტას გადასცემს“: მთელი მსოფლიოს მარეგულირებლებისაგან USAID-ის და NARUC-ის დახმარებით საუკეთესო პრაქტიკების შესახებ მიღებულ ცოდნას სხვა კოლეგებს უზიარებს

2022 წლის სექტემბერი – 1999 წლიდან „კომუნალური სამსახურების მარეგულირებელი კომისიების ეროვნული ასოციაცია“ (NARUC) „აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს“ (USAID) მეშვეობით ეხმარებოდა „საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას“ (სემეკი), რათა ხელი შეეწყო საქართველოს მცდელობას, შეექმნა გამჭვირვალე და უსაფრთხო ენერგო სექტორი, რომელიც ქვეყანას ეკონომიკურ განვითარებაში წვლილს შეიტანდა.

საქართველოს ენერგეტიკის სექტორი სამაგალითო იყო საბაზრო რეფორმების თვალსაზრისით და ქვეყნის ეკონომიკური ამბიციების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა. წელს სემეკი დაარსებიდან 25 წლისთავს აღნიშნავს. მისი ტექნიკური შესაძლებლობები და მომხმარებლებთან გამჭვირვალე ურთიერთობის დამყარების სფეროში კრეატიული და პრაგმატული მიდგომები აღიარებულია როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მეზობელი ქვეყნების მიერ.

მას შემდეგ, რაც 2017 წელს სემეკის ევროკავშირის „ენერგო გაერთიანების“ დამკვირვებლის სტატუსი სრული წევრის სტატუსით შეიცვალა, იგი კვლავ განაგრძობს მარეგულირებელი რეფორმის მხარდაჭერას, რადგან სწორედ ეს რეფორმა უნდა გახდეს საქართველოს ენერგოსექტორის ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის საწინდარი. USAID-ი და NARUC-ი აგრძელებენ სემეკის მხარდაჭერას მის მცდელობაში მიაღწიოს რეგიონული ბაზრის უფრო ძლიერ შერწყმას, შექმნას უკეთესი გარემო გენერაციის სიმძლავრეებში ინვესტირებისათვის და უზრუნველყოს უფრო უსაფრთხო ქსელის არსებობა.

ესტაფეტის გადაცემა

იმის გარდა, რომ სემეკის წარმომადგენლები წამყვან როლებს თამაშობენ ევროპისა და ევრაზიის რეგიონში USAID-ის და NARUC-ის მიერ განხორციელებულ საქმიანობაში, ბოლო წლებში მათ აფრიკასა და აზიაში USAID-ის და NARUC-ის მოხალისე ექსპერტების როლიც იკისრეს. უზიარებენ რა საკუთარ გამოცდილებას მთელის მსოფლიოს მარეგულირებელ კოლეგებს, ისინი, შეიძლება ითქვას, USAID-ისა და NARUC-ისაგან ადრე მიღებულ დახმარებას „ესტაფეტასავით გადასცემენ“. ამავდროულად ისინი თავად იუმჯობესებენ მარეგულირებელი კონცეფციების ცოდნას, ხვეწავენ ინფორმაციის გადაცემის უნარებს და აფართოვებენ პროფესიონალური ურთიერთობების ქსელებს.

ქვემოთ შეგიძლიათ იხილოთ ინტერვიუ სემეკის ტექნიკური მიმართულების სამ თანამშრომელთან – **ზვიად გაჩეჩილაძე**[1] (ელექტროენერგიის დეპარტამენტის დირექტორი, 8 წელი სემეკში), **ლია გვაზავა** (სატარიფო და ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე, 11 წელი სემეკში) და **გიორგი ქელბაქიანი** (სატარიფო დეპარტამენტის კაპიტალური დანახარჯების აუდიტის განყოფილების უფროსი, 8 წელი სემეკში) – USAID-ის და NARUC-ის ღონისძიებებში მონაწილეობის და აქედან მიღებული ცოდნა-გამოცდილების შესახებ.

კითხვა-პასუხი

მოგვიყევით თქვენს შესახებ და რა გევალებათ სემეკში?

ქელბაქიანი – მე სატარიფო დეპარტამენტის კაპიტალური დანახარჯების აუდიტის განყოფილებას ვხელმძღვანელობ. ვატარებ საინვესტიციო გეგმების და კაპიტალური ხარჯების აუდიტებს და ვადგენ სატარიფო მეთოდოლოგიებს. განათლებით ფიზიკოსი და ეკონომისტი ვარ, ენერგეტიკის ეკონომიკის დარგში, და სანამ 2014 წელს სემეკის სატარიფო დეპარტამენტში დავიწყებდი მუშაობას, ISET-ის პოლიტიკის ინსტიტუტში ვმუშაობდი.

გვაზავა – სემეკში მუშაობა 2011 წელს დავიწყე საფინასო და საბიუჯეტო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე, ხოლო ამჟამად სატარიფო და ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე ვარ. დეპარტამენტი ელექტროენერგიის, გაზის და წყლის ტარიფებს ადგენს, მარეგულირებელი ხარჯების აუდიტებს და ლიცენზიატების და ბაზრის ოპერატორების საბოლოო ანალიზს ატარებს. იგი აგრეთვე სტაჟირების პროექტში და საერთაშორისო თანამშრომლობის სხვა ძალისხმევებში მონაწილეობს. აგრეთვე 2018 წლიდან სემეკის მედია კლუბში ტარიფის გათვლის და ხარჯების აუდიტის პრინციპებს ვასწავლი.

გაჩეჩილაძე – მე ელექტროენერგიის დეპარტამენტის დირექტორი ვარ. აქ მუშაობა 2014 წელს დავიწყე. სემეკის ელექტროენერგიის დეპარტამენტი, გარდა ტარიფების განსაზღვრისა და ეკონომიკური რეგულაციებისა, ელექტროენერგიის ბაზრის საკითხებზე მუშაობს. დეპარტამენტის თანამშრომელთა უმეტესობა საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობს, აღრმავებს საერთაშორისო ურთიერთობებს და მთელის მსოფლიოს ენერგო-ორგანიზაციებთან თანამშრომლობს.

USAID-ის მხარდაჭერით NARUC-ი შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამებს ახორციელებდა და საუკეთესო მარეგულირებელ პრაქტიკებს გიზიარებდათ, რათა აღეჭურვეთ საშუალებებით, რომლებიც ევროკავშირზე მეტად ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი და გამჭვირვალე ენერგოსექტორის ჩამოყალიბების საშუალებას მოგცემდათ. დაგვისახელეთ მარეგულირებელი ზომები, რომლებიც სემეკმა ამ დახმარების საფუძველზე მიიღო?

გვაზავა – ჩვენ ვისწავლეთ მარეგულირებელი ხარჯების აუდიტის და ანგარიშთა ერთიანი სისტემის (USoA) შესაბამისად მარეგულირებელი ანგარიშგების წარმოების შესახებ. ამის საუკეთესო პრაქტიკები ამერიკელმა კოლეგებმა გაგვიზიარეს. აგრეთვე, 2015 წელს მე და გიორგი მიჩიგანში ვიყავით და ანგარიშგების, ანგარიშთა სისტემების, სატარიფო

[1] მალევე ამ ინტერვიუს შემდეგ ზვიად გაჩეჩილაძე სემეკიდან სხვა თანამდებობაზე გადავიდა, თუმცა ისევ საქართველოს ენერგოსექტორში დარჩა.

პროცესების და საბუღალტრო პრინციპების საუკეთესო პრაქტიკები შევისწავლეთ, რაც შემდგომში ტარიფის დიზაინსა და ინვესტიციების დამტკიცებაზე მუშაობის პროცესში დაგვეხმარა. სემეკმა USoA-ს დანერგვა 2014 წელს დაიწყო და საბოლოო სისტემა 2016-ში დაამტკიცა. უფრო მეტიც, სემეკის მიერ რეგულირებული კომპანიები თავიანთ ანგარიშებს USAID-სა და NARUC-ის დახმარებით მიღებული ცოდნის საფუძველზე წარმოადგენენ. ტარიფების დადგენის სემეკისეული პროცედურები აგრეთვე აშშ-ს გამოცდილებიდან მიღებულ გაკვეთილებს ეფუძნება და მის უახლეს სატარიფო მეთოდოლოგიაშია გათვალისწინებული.

გაჩეჩილაძე – სემეკმა USAID-ისა და NARUC-ისაგან უამრავი დახმარება მიიღო როგორც გადაცემისა და განაწილების განვითარების დაგეგმვის, ასევე ქსელების დაგეგმვის თვალსაზრისით. განაწილების რეფორმის მხარდაჭერის მიზნით, სემეკს საშუალება ჰქონდა მონაწილეობა მიეღო „სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის მარეგულირებელი ხიდის პროექტში“, რომელიც მარეგულირებლებს განაწილების სისტემის ოპერატორებისთვის ახალი რეგულაციების შემუშავებაში ეხმარებოდა. USAID-ი და NARUC-ი აგრეთვე ეხმარებოდნენ სემეკს მრიცხველების ახალი რეგულაციის შემუშავებაში, რომელიც უკვე დამტკიცებულია, და ინვესტიციების რეგულირებისთვის ხარჯ-სარგებლის ანალიზის მეთოდოლოგიის დანერგვაში.

<u>პარტნიორობის დასრულების შემდეგ, რატომ გადაწყვიტეთ მონაწილეობა მიგეღოთ USAID-ისა და NARUC-ის მიერ სხვა ქვეყნების მარეგულირებლების დახმარების მიზნით ორგანიზებულ ღონისძიებებში?</u>

ქელბაქიანი – ასეთ ღონისძიებებში მონაწილეობა საშუალებას მაძლევდა „ესტაფეტა გადამეცა“ და გამევრცელებინა მიღებული ცოდნა, რათა გამეფართოვებინა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლებიც რეგულირების თანამედროვე მეთოდების გამოყენებით სარგებელს იღებს. როდესაც კონცეფციას სხვას ვუხსნი, მე თვითონაც უკეთესად ვიგებ მას. მეტიც, ეს არ არის ცალმხრივი მოძრაობა – ჩვენ აგრეთვე ვსწავლობთ ჩვენი მასპინძლების გამოცდილებიდან, ვიგებთ რა სირთულეებს აწყდებიან სამუშაოში, როგორ აგვარებენ რეგულირების პრობლემებს, რაც საინტერესოა და, პოტენციურად, სასარგებლოცაა სემეკისათვის.

გვაზავა – მე ვფიქრობ, რომ გამოცდილების გაზიარება და საქართველოს კონტექსტში წლების განმავლობაში დაშვებული შეცდომებიც კი, უაღრესად მნიშვნელოვანია სხვებისათვის. განვითარებადი ქვეყნები ძალიან ხშირად სემეკის მსგავს გამოწვევებს აწყდებიან, ასე რომ, ჩემი აზრით, იმის გაზიარება, როგორ მივაღწიეთ წარმატებას ნაბიჯ-ნაბიჯ, განსაკუთრებით საინტერესო უნდა იყოს მათთვის.

<u>როგორ მოგამზადათ USAID/NARUC-სა და საქართველოს შორის ენერგო-მარეგულირებელი პარტნიორობის შედეგად მიღებულმა ცოდნამ იმისათვის, რომ გაგეზიარებინათ თქვენი გამოცდილება მთელი მსოფლიოს მარეგულირებლებისთვის და დახმარებოდით მათ თავიანთ ენერგო-სექტორ(ებ)ში არსებული გამოწვევების დაძლევაში?</u>

ქელბაქიანი – USAID-ის და NARUC-ის ღონისძიებებმა საკმარისი ცოდნა და გამოცდილება შემძინა იმისათვის, რათა მომემზადებინა პრეზენტაციები, მცოდნოდა, რაზე უნდა გამემახვილებინა ყურადღება, როგორ გამეზიარებინა ინფორმაცია და როგორ მიმეღო ნაყოფიერი უკუკავშირი აუდიტორიისაგან. როდესაც პარტნიორობა დაიწყო, მე

პრეზენტაციებს აუდიტორიისათვის უამრავი ფონური ინფორმაციის მიწოდებით ვიწყებდი, მაგრამ ახლა მათ საკუთარი ენერგოსექტორის მიმდინარე მდგომარეობის შეფასებას ვთხოვ, რათა ვიცოდე, რით დავიწყო.

გვაზავა – USAID-ი და NARUC-ი, უამრავი სემინარის და სასწავლო ტურის მეშვეობით, დამეხმარნენ მოვმზადებულიყავი და გავმხდარიყავი ტარიფების დადგენის ექსპერტი. შედეგად, მე შევძელი მოვმზადებულიყავი რათა გამეზიარებინა ჩემი ცოდნა და სხვა ქვეყნების კომისიების წევრებთან საუბრისას თავი უფრო კომფორტულად მეგრძნო.

<u>რა ისწავლეთ საკუთარი გამოცდილებიდან და, თქვენი აზრით, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი?</u>

ქელბაქიანი – მგინია, რომ ყველა ჩვენთაგანის სახელით შემიძლია ვთქვა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი იმ თანამოაზრეების გაცნობა გახდა, რომლებიც ჩვენს ანალოგიურ ან მსგავს პრობლემებზე მუშაობენ. ახლა მე მთელ მსოფლიოში მყავს კოლეგები, რომლებსაც შემიძლია დავუკავშირდე და რეგულირების სხვადასხვა საკითხზე რჩევა ვთხოვო. ჩემი საკუთარი ცოდნაც სულ უფრო იხვეწება. შესაძლოა სემეკის გადაწყვეტილებები სხვა ქვეყნის ენერგოსექტორის კონტექსტში ყოველთვის გამოსადეგი არ იყოს; ამის გამო, მე უფრო მეტი თვითშეგნება შევიძინე და ვგრძნობ, რომ პროფესიულად, როგორც მარეგულირებელი, მნიშვნელოვნად გავძლიერდი. ამას გარდა, იმ ქვეყნების ჩამონათვალის გაფართოვება, რომელთაგანაც ჩვენ შეგვიძლია ვისწავლოთ, ეხმარება საქართველოს ენერგოსექტორს, რადგან სემეკს შეუძლია გაითვალისწინოს სხვა ქვეყნის სტრატეგიები და მათ საფუძველზე დაასაბუთოს ახალი ტიპის რეგულაციის დანერგვის აუცილებლობა.

<u>დაგეხმარათ თუ არა USAID-ის და NARUC-ის ღონისძიებებში მონაწილეობა პირადი ან პროფესიული მიზნების მოღწევაში/</u>

ქელბაქიანი – მე დამეხმარა პროფესიულ ზრდაში და საერთაშორისო ექსპერტად ჩამოყალიბებაში. USAID-ის და NARUC-ის ღონისძიებებში მონაწილეობის შემდეგ დავიწყე პროექტების განხორციელების ხელმძღვანელობა, რაც მმართველობითი უნარების განვითარებაში დამეხმარა. მიღებული გამოცდილების გამო ჩემს განყოფილებაში უფრო მაღალი თანამდებობის დაკავება შევძელი.

გვაზავა – სემეკის მარეგულირებელი წარმატებების ხაზგასმა და საკუთარი გამოცდილების მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაზიარება ძალიან სასიამოვნო იყო. როდესაც 2016 წელს USAID-ისა და NARUC-ის ღონისძიებებში მონაწილეობა დავიწყე, მე სადოქტორო დისერტაციაზე ვმუშაობდი და კვლევებს ვატარებდი. დისერტაციის თემა იყო: :მარეგულირებელი ხარჯის აუდიტი ელექტროენერგიის სექტორის ბუნებრივ მონოპოლიებში“. USAID-მა და NARUC-მა სხვა კომისიების წარმომადგენლებთან კავშირის დამყარების საშუალება მომცეს, რითიც ჩემი კვლევის დასრულებაში მნიშვნელოვნად დამეხმარენ. სემეკმა მაშინ კვლევის შედგები მარეგულირებელი ხარჯების აუდიტის განახლებულ მეთოდოლოგიაში გაითვალისწინა.

გაჩეჩილაძე – მე ახალი გამოცდილებები შევიძინე და ვაგრძელებ ურთიერთობას მარეგულირებლებთან და კოლეგებთან, რომლებიც USAID-ის და NARUC-ის ღონისძიებებში მონაწილეობისას გავიცანი. მიხარია, რომ შემიძლია მათ მეგობრები ვუწოდო.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით რეგულირების განვითარებაში შეტანილი წვლილი

სემეკის თანამშრომლების მონაწილეობა USAID-ის და NARUC-ის მიერ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ორგანიზებულ ღონისძიებებში წარმატებული იყო. მაგალითად, 2021 წელს სემეკის თანამშრომლები მონაწილეობდნენ მარეგულირებელ კომუნიკაციებში ზამბიის ენერგო-მარეგულირებელ საბჭოსთან (ERB), რომელსაც გაუზიარეს საკუთარი გამოცდილება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა დაინტერესებული მხარეების ჩართვა და საზოგადოებასთან ურთიერთობა. იმავე წელს ძალაში შევიდა ERB-ს „კომუნიკაციების და ხილვადობის სტრატეგია, 2021-2025 წწ“ და ზემოხსენებულ ღონისძიებაში მიღებული ცოდნა საბჭოს მის განხორციელებაში დაეხმარება. ამას გარდა, 2017 წელს სემეკის მოხალისეებმა წარუდგინეს რუანდას კომუნალური სამსახურების მარეგულირებელ ორგანოს (RURA) ტარიფების გადახედვის საქართველოში დანერგილი პროცესი. მას შემდეგ, რაც 2018 წელს რუანდას ელექტროენერგიის შესახებ კანონში ცვლილებები შევიდა, RURA-მ ამ ღონისძიების დროს მისთვის გაზიარებული საუკეთესო პრაქტიკები საკუთარ სატარიფო მეთოდოლოგიაში ჩართო.



სემეკის გამოკითხული ექსპერტები, ისევე როგორც მისი სხვა თანამშრომლები, აგრეთვე აქტიურად მონაწილეობენ USAID-ის და NARUC-ის ახალ საპარტნიორო პროგრამაში, რომელიც ცენტრალურ აზიაში ხორციელდება. 2021 წლიდან სემეკის ექსპერტებმა გაუზიარეს საუკეთესო პრაქტიკა სატარიფო მეთოდოლოგიების სფეროში ყირგიზეთის რესპუბლიკის მარეგულირებლებს, გამჭვირვალობისა და საზოგადოების ჩართულობის საკითხებზე – ტაჯიკ კოლეგებს, და ტექნიკური დანაკარგების გათვლაზე – ყაზახ მარეგულირებლებს. ამის მეშვეობით ისინი დაეხმარნენ USAID-ს და NARUC-ს საკუთარი მიზნების მიღწევაში: ცენტრალური აზიის პარტნიორების შესაძლებლობების გაძლიერებაში, განვითარებული ენერგო-ბაზრების ჩამოყალიბებაში, მარეგულირებლების როლის გაძლიერებაში და მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად პლატფორმის შექმნაში.

ზვიადიც, ლიაც და გიორგიც ხაზს უსვამენ, რომ ისინი მზად არიან და სიხარულით გააგრძელებენ განვითარებადი ქვეყნების თავიანთი კოლეგა მარეგულირებლებისათვის დახმარების გაწევას მთელი მსოფლიოს მასშტაბით. მარეგულირებლებს შორის ინფორმაციის გაზიარების ქსელების შექმნაში დახმარებით, სემეკის თანამშრომლებს წვლილი შეაქვთ სამომავლო რეგიონული და გლობალური საბაზრო ინტეგრაციის უზრუნველყოფაში და წამყვან მაგალითს წარმოადგენენ უფრო წინ წასული მარეგულირებელი კომისიებისთვის, რათა ისინი უფრო აქტიურად დაეხმარონ თავიანთ კოლეგებს განვითარებადი ქვეყნებიდან მეტი გამჭვირვალობისა და დამოუკიდებლობის მიღწევაში.

This story is made possible by the generous support of the American people through the United States Agency for International Development (USAID). The contents are the responsibility of NARUC and do not necessarily reflect the views of USAID or the United States Government.

Photo captions: (1) Lia Gvazava of GNERC presenting during a 2017 USAID/NARUC activity in Rwanda (photo credit: NARUC); (2) Giorgi Kelbakiani of GNERC presenting during a 2021 USAID/NARUC activity on tariff setting practices tailored to Central Asian partners (photo credit: NARUC)